



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების  
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 3 23 0000440582



21/04/2023

**ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის „მხატვრული მინის მცირე და საშუალო  
ნაკეთობების ფიუზინგი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების  
მიანიჭების შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი /01590/ (დანართი).

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2023 წლის 21 აპრილის №438748 ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბაბალაშვილი ნინო

ნ. გაგაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა

მ. ზაქარეიშვილი

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01590	მხატვრული მინის მცირე და საშუალო ნაკეთობების ფიუზინგი	პროფესიული მომზადება	მესამე	12	ქართული	16	ქ. თბილისი, (სოფელი დილომი) დავით აღმაშენებლის ქ. №52